სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში ცვლილებები შევა

ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ფერმერული ტექნიკა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციის საშუალებები - შეღავათიანი აგროლიზინგის ფარგლებში, განაცხადეს მთავრობაში. მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა ბრძანება შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ. მთავრობაში აღნიშნეს, რომ დანადგარების შეძენა შესაძლებელი იქნება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ.

Sarke Information News, *25 იანვარი, 2018 წელი*

ტყის კოდექსზე მუშაობა დასრულდა

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ტყის კოდექსზე მუშაობის დასრულების შესახებ განცხადება გაკეთდა. „დოკუმენტის საჯარო განხილვა უმოკლეს ვადებში მოხდება, დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით დაიბეჭდება“, - განაცხადეს სამინისტროში. დოკუმენტის საჯარო განხილვით დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან სამინისტროს მიმართონ არა უგვიანეს 12 თებერვლისა. აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წელს, საქართველომ თავის თავზე აიღო ტყეების მართვის სტაბილური სისტემის შემუშავება. სამინისტროში აღნიშნეს, რომ სატყეო სექტორის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დახმარებით. ლიტვისა და უნგრეთის შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებმა გააცნეს ქართულ მხარეს ამ მიმართულებით ევროკავშირის გამოცდილება, განაცხადეს სამინისტროში.

Sarke Information News, *24 იანვარი, 2018 წელი*

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტი სოფლის მეურნეობის დარგში

ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მე-3 ფაზის (ENPARD III) ფარგლებში ევროკავშირის მიერ ახალი დაფინანსებული 12 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი იწყება. თბილისში დღეს შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა. პროექტი ხორციელდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ. ENPARD იტყობინება, რომ პროექტი ითვალისწინებს FAO-ს დახმარებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებაში და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში 2015-2020 წლებისთვის. პროექტი ითვალისწინებს ასევე სხვადასხვა საპილოტე ღონისძიებებს, როგორიცაა საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობა ფერმერთა, ფერმერთა კოოპერატივების, სოფლის ბიზნესმენების და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ასევე ინდივიდუალურ გრანტებს. ENPARD ხორციელდება საქართველოში 2013 წლიდან. პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 179,5 მილიონ ევროს.

Sarke Information News, 24 იანვარი, 2018 წელი

ღვინის ეროვნული სააგენტო აამოქმედებს ელექტრონული სერტიფიცირების სისტემას თებერვალში

ღვინის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, რომ ამ წლის 1 თებერვალს ელექტრონული სერტიფიკაცია ამოქმედდება. სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი სამანიშვილმა აღნიშნა, რომ „ელექტრონული სისტემის დანერგვა გაამარტივებს სერტიფიცირების პროცედურებს, ხოლო მეწარმეებს სააგენტოში მისვლა აღარ მოუწევთ“. უნდა აღინიშნოს, რომ „ვაზისა და ღვინის

შესახებ“ კანონში ცვლილებების თანახმად, სავალდებულო დეგუსტაცია 1 იანვრიდან გამოიყენება ყველა საექსპორტო ღვინოზე. აქამდე, ეს მოთხოვნა გამოიყენებოდა მხოლოდ სამარკო ღვინოებზე. გარდა ამისა, სააგენტო იტყობინება, რომ შემუშავებული იქნება ცვლილებები ალკოჰოლური სასმელების და ყურძნისგან წარმოებული ალკოჰოლის სერტიფიცირების წესებში. სამანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ „ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო კომპანიები“. „ხელისუფლება და კერძო სექტორი თანხმდებიან, რომ საქართველოში დაბალი ხარისხის ან უხარისხო ღვინო არ უნდა იწარმოებოდეს“, - განაცხადა მან.
Sarke Information News, *17 იანვარი, 2018 წელი*

2017 წელს ქართული ღვინის ექსპორტი რეალურ გამოხატულებაში გაიზარდა 54%-ით, ფულად გამოხატულებაში კი - 49%-ით
ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით 2017 წელს ღვინის ექსპორტმა 76,7 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) შეადგინა 53 ქვეყანაში. ეს მოცულობა 54%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. საანგარიშო წლის განმავლობაში ღვინის ექსპორტის მოცულობამ 170 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 49%-იან ზრდას ნიშნავს. „2017 წელს ბოლო 30 წლის განმავლობაში ღვინის რეკორდული ექსპორტი განხორციელდა საქართველოდან“, - განაცხადეს სააგენტოში. ექსპორტის თვალსაზრისით პირველ ხუთ ქვეყანას შორის არის რუსეთი (47,78 მლნ ბოთლი, წლიური ზრდა 76%), უკრაინა (8,5 მილიონი ბოთლი, ზრდა - 46%), ჩინეთი (7,59 მილიონი ბოთლი, ზრდა - 43%), პოლონეთი (2,69 მილიონი ბოთლი, ზრდა - 15%). გარდა ამისა, 3,32 მილიონი ბოთლი გაიგზავნა ექსპორტზე ყაზახეთში (სააგენტოში არ დააკონკრეტეს წლიური ცვლილება, თუმცა სავარაუდოდ შემცირება მოხდა). ღვინის ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებისთვის - აშშ - 56% (457 920 ბოთლი), გერმანია - 38% (404 538 ბოთლი), ისრაელი - 150% (213 074 ბოთლი), მონღოლეთი - 82% (168 162 ბოთლი), საფრანგეთი - 178% (99 796 ბოთლი), აზერბაიჯანი - 75% (141 294 ბოთლი) და სხვა. მთლიანად 250 კომპანიამ განახორციელა ღვინის ექსპორტი 2017 წელს. სამარკო ღვინოებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტზე გავიდა ქინძმარაული (12,8 მილიონი ბოთლი), მუკუზანი (4,2 მილიონი ბოთლი), წინანდალი (3,4 მილიონი ბოთლი). გარდა ამისა, სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ექსპორტზე 18,4 მილიონი ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი გაიგზავნა 26 ქვეყანაში, რაც 78%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. ფულად გამოხატულებაში ექსპორტმა 39,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 70%-ით ზრდას ნიშნავს წელიწადში. ასევე ექსპორტირებულია 288 000 ბოთლი ჭაჭა (ზრდა - 180%). ექსპორტის ღირებულება 846000 აშშ დოლარია (ზრდა - 148%). საერთო ჯამში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინის მასალისა და კონიაკის სპირტის ექსპორტი 2017 წელს 238,8 მილიონ დოლარს შეადგენდა, რაც 46%-იანი ზრდაა წლიურად.
Sarke Information News, 16 იანვარი, 2018 წელი

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის დეკემბრის #65 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე:
http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე:
www.enpard.ge

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.
იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე: http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/.